

7 ნოემბერს თბილისში დღის 8 საათზე საქართველოს პარლამენტის წინ მშვიდობიანი მომიტინგეებისა და მოშიმშილეების დარბევა დაიწყო. ქალაქის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს უკან მიყენენ პოლიციელები, რომლებმაც დაარბიეს მოშიმშილეები. ამავე დროს, ტელეკომპანიების ჟურნალისტებს დაუმტვრიეს ტელეკამერები და მათ ფიზიკურადაც შეეხნენ.

აქცია განხლდა, დაახლოებით, 9 საათისათვის. დარბევით აღშფოთებულმა მოქალაქეებმა პარლამენტის წინ თავმოყრა დაიწყო. მთელი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია პოლიციელებით იყო სავსე. ისინი საშუალებას არ აძლევდნენ აქციის მონაწილეებს, რომ პროსპექტი გადაეკეტათ.

დღის 12 საათისთვის მომიტინგეები უკვე იმდენი აღმოჩნდნენ, რომ ქუჩის სავალ ნაწილზე ვერ დაეტივნენ და რუსთაველის პროსპექტი გადაკეტეს. პოლიციელებმა დარბევა დაიწყო ხელკეტებით.

დღის 1 საათზე გამოჩნდა სპეცრაზმი წყლის შესასახამი მანქანით. ხელკეტებითა და რეზინის სასროლი ირადით აღჭურვილმა ნიღბოსნებმა დაიწყო რეზინის ტყვიებისა და გაზით სავსე კაპსულების სროლა. აქციის მონაწილეებს ხელები აწეული ჰქონდათ, რითიც ისინი აჩვენებდნენ, რომ ეს მშვიდობიანი აქცია იყო. ცრემლმდენი გაზის ზემოქმედებით ბევრმა მონაწილემ უკან დაიხია. ამ დროს სპეცრაზმმა უმოწყალოდ დაიწყო აქციის მონაწილეთა დარბევა და რეზინის ტყვიების სროლა.

ამ პროცესებს ბევრი ქართული და უცხოური ტელეკომპანია პირდაპირ ეთერში აჩვენებდა. დარბევას ვერც ქართველი და ვერც უცხოელი ჟურნალისტები გადაურჩნენ. დარბევის შედეგად მხოლოდ თავისუფალი ტელეკომპანია “იმედის” 30-მდე ჟურნალისტი ამ თუ იმ ფორმით დაზარალდა. მათ დაუმტვრიეს კამერები, ფიზიკურად გაუსწორდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

ამ მეორე დარბევით აღშფოთებული ხალხი მთელი ქალაქიდან დაიძრა. მათმა რაოდენობამ დაახლოებით დღის 4 საათისათვის 50 ათასს მიაღწია. ოპოზიციის ლიდერებმა აქცია რუსთაველის პროსპექტიდან მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადაიტანეს, რათა ხელისუფლებას დემაგოგიური რიტორიკა არ გამოეყენებინა, რომ მომიტინგეები წესრიგს არღვევენ და ქუჩას კეტავენ.

რიყეზე (უბნის სახელწოდება), სადაც არანაირი საბაბი აღარ არსებობდა, რომ კონსტიტუციური წესრიგი ირღვევა, სპეცრაზმები 5-ის ნახევარზე გამოჩნდნენ. მათ სამი მხრიდან დაარტყეს ალყა აქციის მონაწილეებს და წყლის ჭავლი, გაზის კაპსულები და რეზინის ტყვიები ისროლეს. ხალხი პანიკაში ჩავარდა. ატყდა წყლელა. უამრავი ხალხი სხვადასხვა მიმართულებით გარბოდა და ყველგან სპეცრაზმელებს აწყდებოდა. სპეცრაზმელები გაქცეულ ხალხს წყლის ჭავლს ასხამდნენ, მისდევდნენ და უმოწყალოდ სცემდნენ. ხალხის ნაწილი იქვე მდებარე მეტეხის ეკლესიის ეზოში შეიჭრა. წყლის ჭავლიანი მანქანა ეკლესიის ეზოსთან მიაყენეს და ხალხს წყალი მიუშვირეს, თან გაზის კაპსულებს ესროდნენ. პანიკაში ჩავარდნილი ხალხის გარკვეული ნაწილი მდინარე მტკვარზე მდგარ ბორანზე შეიჭრა. იმდენი ხალხი დაგროვდა, რომ გადაყირავების საშიშროება შეიქნა და მეზორნეებმა კარი ჩაკეტეს. ხალხის მცირე ნაწილი აფთიაქში შევარდა, საიდანაც სპეცრაზმელებს ისინი გამოჰყავდათ და უმოწყალოდ სცემდნენ.

დაახლოებით საღამოს 9 საათზე სპეცრაზმი დამოუკიდებელი ტელეკომპანია “იმედის” შენობაში შეიჭრა. ამ დროს მაუწყებლობა დღის მოვლენებს აშუქებდა. ჟურნალისტებმა მოასწრეს პირდაპირ ეთერში ეთქვათ, რომ შენობაში სპეცრაზმია და ტელემაუწყებლობის სიგნალი შეწყდა. ხუთ წუთში შეწყდა მეორე თავისუფალი ტელეკომპანიის – “კავკასიის” სიგნალი.

ის, თუ ხდებოდა ტელე “იმედში” ამას უკვე საზოგადოებრივი I არხი და ოფიციალურად დაკავშირებული “რუსთავი 2” საკმაოდ ობიექტურად პირდაპირ

ეთერში გადმოსცემდა. სპეცრაზმი შენობაში შეიჭრა და თანამშრომლები და გადაცემაზე მიწვეული სტუმრები იატაკზე დაყარა. ბევრ მათგანს თავზე ავტომატები დაადეს. იმედის ჟურნალისტებს ჩამოართვეს მობილურები. შეჭრის დროს სპეცრაზმელებმა დალევეს აპარატურის დიდი ნაწილი.

საგანგებო მდგომარეობა თბილისში მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გამოცხადდა. პრეზიდენტის დეკრეტის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. უფრო მოგვიანებით საგანგებო მდგომარეობის შესახებ დეკრეტი ეკონომიკის მინისტრმა წაიკითხა, რომლის თანახმად საგანგებო მდგომარეობა უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით გამოცხადდა.

მშვიდობიანი აქციების ერთი დღის განმავლობაში სამჯერ დარბევა, ტელეიმედში შეჭრა და ტელეარხ კავკასიის გათიშვა არა მხოლოდ სცილდება კონსტიტუციურ ჩარჩოებს, არამედ ნამდვილი ვანდალური აქტებია – შესრულებული გამოგნებელი სისატიკითა და არაპროფესიონალიზმით. ყოველივე ეს სცილდება სად აზრს.

ორი სიტყვით იმის შესახებ უნდა ითქვას, რომ 7 ნოემბრის დარბევა ლოგიკური გაგრძელებაა პრესიდენტ სააკაშვილის არჩეული კურსის: ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლოები, პოლიციის მხრიდან ადგილი აქვს სრულ განუკითხაობას – ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოკლულია 37 ახალგაზრდა სხვადასხვა სპეცოპერაციების დროს, რომელთა ბრალეულობა ვერანაირად ვერ მტკიცდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სანდრო გირგვლიანის მკვლელობა 2006 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ, რომლის შესახებ საზოგადოებამ ტელეკომპანია “იმედის” მეშვეობით გაიგო. სწორედ ამ დროიდან იწყება ხელისუფლების დაპირისპირება ამ ლამის ბოლოდრომდე ერთადერთ თავისუფალ ტელეარხთან.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება სისტემატურად არღვევს მოქალაქეთა საკუთრების უფლებას – უკანონოდ ართმევს მოქალაქეებს ბინებს და სხვა ტიპის საკუთრებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლება უკვე დიდი ხანია, რაც ნერგავს კონსპიროლოგიურ თეორიას საქართველოს წინააღმდეგ მიმართული “დიდი შეთქმულების” შესახებ, რომელიც რუსეთის მხრიდან იმართება. ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიტიკურ ოპონენტების მიმართ დიდი ხანია, რაც იყენებენ ტერმინებს – “ერის მოღალატე”, “რუსეთის” აგენტი და ა.შ. ადგილი აქვს სრულ აგენტომანიას, რაც გვახსენებს სტალინის პერიოდის ტერორსა და იმდროინდელ შპიონომანიას.

ხელისუფლების მოქმედება ატარებს ნეობოლშევიზმის თითქმის ყველა ნიშანს. ხელისუფლების მთავარი იდეოლოგი პარლამენტის დეპუტატი გიგა ბოკერია და მისი პარტნიორი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის “თავისუფლების ინსტიტუტის” წარმომადგენელი ლევან რამიშვილი სისტემატურად აცხადებენ, რომ “ხალხი ბნელი მასაა, საიდანაც ხელისუფლებამ უნდა შექმნას ახალი ადამიანი”. ამავე დროს, იგივენი აცხადებენ რომ ისინი ხელისუფლებაში 80 წლით არიან მოსულები, როგორც მექსიკაში – “ინსტიტიციურ-რევოლუციური პარტია”.

ძვირფასი კოლეგებო, განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო, რომ “შეთქმულების თეორიისა” და შპიონომანიის აქტიურ დასაფუძვლებას ახორცილებენ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ფილოსოფოსი გიგი თევზაძე, ამავე უნივერსიტეტის მაღალჩინოსანი სერო რატიანი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორები ფილოსოფოსი გიგა ზედანია, პოლიტოლოგი გია ნოდია, ნოდარ ლადარია და სხვ. ჭავჭავაძის უნივერსიტეტი ჩამდგარია ხელისუფლების იდეოლოგიურ სამსახურში. გუშინდელი დარბევის შემდეგ ყველა მათგანი აცხადებდა, რომ “სახელმწიფოს ძალადობაზე ლეგიტიმური უფლება აქვს”.

საზოგადოდ, საქართველოს აკადემიურ სივრცეში ტერორის ატმოსფერო სუფევს. დამოუკიდებელი ინტელექტუალები ან მარგინალიზებულნი არიან, ან საკუთარი ღირსებისა და უფლებების შეურაცხყოფად თვლიან ხელისუფლების მიერ მართულ აკადემიურ სივრცეში მოღვაწეობას.

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება დიალოგის შესახებ ცინიკურად ჟღერს, რადგან საქართველოს პარლამენტმა სრულიად უკანონოდ და კონსტიტუციის აბსოლუტური დარღვევით გაიგრძელა 7 თვით მოქმედების ვადა. სწორედ ამიტომ მოითხოვს დღეს საქართველოს ხალხი – როგორც ლეგიტიმურობის ერთადერთი წყარო – არჩევნების გადმოტანას საკონსტიტუციო ვადებში.

როდესაც ხელისუფლება გადის კანონის ფარგლებიდან და არღვევს კონსტიტუციას, როდესაც ხელისუფლება ნერგავს ტერორის ატმოსფეროს, – ის ტირანია ხდება.

ამიტომაც, დღე საქართველოს ხალხის წმიდათა წმიდა მოვალეობაა, ადადგინოს სამართლიანობა და საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობა გამოაცხადოს.